ლადო პაპავა: სააკაშვილს დაამარცხებს თვითონ სააკაშვილი, “ნაციონალურ მოძრაობას” დაამარცხებს თავად “ნაციონალური მოძრაობა”

გაზეათი “ასავალ-დასავალი” – 6-12 თებერვალი, № 6, 2012 წელი

ობამასთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამდენი კონკრეტული შედეგით თეთრი სახლიდან არასოდეს გამოსულა. რა შედეგებს გულისხმობდა სააკაშვილი და იყო თუ არა ეს ვიზიტი წარმატებული მისთვის? ამის შესახებ ეკონომიკურ მეცინერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება:

– ამ შეხვედრის შესახებ საკმაოდ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ამერიკაში მოღვაწე ექსპერტმა თომას დე ვაალმა, რასაც მე ვეთანხმები. როგორც მან აღნიშნა, ობამას სააკაშვილთან შეხვედრა სჭირდებოდა შიგა მოხმარებისათვის, რადგან 2012 წელი ამერიკაში საარჩევნო წელია. რესპუბლიკელები დემოკრატ ობამას აკრიტიკებენ რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის გამო, რომელსაც წარუმატებლად მიიჩნევენ. ამ ფონზე ობამას სჭირდებოდა ეჩვენებინა ხალხისთვის, რომ მას აქვს დაბალანსებული პოლიტიკა – მუშაობს არა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, არამედ რეგიონში რუსეთთან ყელაზე დაპირისპირებული ქვეყნისათვის, საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენაზე. რუსეთის თემა რომ ობამასთვის მნიშვნელოვანია, კარგად გამოჩნდა, როცა სააკშვილთან საუბრის დროს მას წამოსცდა რუსეთი. ამ წამოცდომამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, ქვეცნობიერად რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ის რუსეთთან ურთიერთობას.

კონკრეტულად რაზე ილაპარაკეს ობამამ და სააკაშვილმა დახურულ კარს მიღმა, ჩვენ არ ვიცით. ეს გამოჩნდება უახლოეს თვეებში. ოვალური დარბაზიდან გამოსულმა სააკაშვილმა კი აღნიშნა, რომ ის იყო ძალიან კმაყოფილი, რადგან მოისმინა ყველაფერი, რაც მას აინტერესებდა.

– როგორ ფიქრობთ, რა აინტერესებდა ყველაზე მეტად სააკაშვილს?

– სააკაშვილს ყველაზე მეტად აინტერესებს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის შენარჩუნება. ამის გამო მან კონსტიტუცია შეცვალა, რითაც

ქვეყნის პირველი პირი ხდება პრემიერ-მინისტრი, რომელიც პარლამენტმა უნდა აირჩიოს და იმის გამო, რომ პარლამენტმა უნდა აირჩიოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის შენობას აშენებს ქუთაისში. სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ გაყალბების გარეშე არჩევნებს ვერ მოიგებს, გაყალბებას კი თბილისში მოჰყვება საპროტესტო აქციები. ქუთაისი 5-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე თბილისი. ცხადია, ქუთაისში ჩატარებული აქცია ვერ იქნება ისეთი მასშტაბის.

– სააკაშვილმა ამერიკაში ხომ თქვა, რომ პუტინი არ ვიქნებიო...

– მანამდე ობამამ თქვა, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების ფორმალური გადაცემა. ფორმალური ნიშნავს კონსტიტუციურს, კანონიერს. სააკაშვილმა ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენა და უპასუხა, რომ 2013 წელს ქვეყანა ახალ პრეზიდენტს აირჩევს. ბუნებრივია, 2013 წელს ახალ პრეზიდენტს აირჩევს ქვეყანა და ეს ახალი პრეზიდენტი არ იქება სააკაშვილი, მაგრამ ეს ახალი პრეზიდენტი არც ქვეყნის პირველი პირი იქნება. სხვათა შორის, კონსტიტუციური კურიოზთან გვაქვს საქმე, რადგან მოსახლეობა ირჩევს პრეზიდენტს, რომელსაც ექნება ნაკლები უფლებასილება, ვიდრე პარლამენტის მიერ არჩეულ პრემიერს.

რაც შეეხება სააკაშვილის ფრაზას, პუტინი ვერ ვიქნებიო. ეს იყო მისი პასუხი „როიტერის“ ბრიყვულ შეკითხვაზე, გახდებოდა თუ არა ის მეორე პუტინი. რა თქმა უნდა, სააკაშვილი პუტინი ვერ იქნება. პუტინი ისე გახდა პრემიერ-მინისტრი, რომ კონსტიტუცია არ შეუცვლია, მაგრამ შეინარჩუნა პრეზიდენტის ფუნქციები. სააკაშვილმა კი თავის თავზე მოირგო კონსტიტუცია, ის გაუმჯობესებული პუტინი გამოდის!

როცა სააკაშვილი აცხადებს, ყველაფერი მოვისმინე, რაც მინდოდაო, არ ვიცით, მოისმინა თუ არა თავის მომავლის შესახებ რაიმე სანუგეშო. ერთი რამ უნდა ითქვას, დღეს ისე ლამაზად არის გაპიარებული მისი წარმატებები მსოფლიოში, რომ აქვს უნიკალური შანსი, ისტორიაში შევიდეს როგორც წარმატებული ფიგურა. აგერ, მსოფლიო ბანკმა დაწერა ზღაპრების მორიგი წიგნი, თუ როგორ დაამარცხა სააკაშვილმა კორუფცია საქართველოში. ქვეყანაში მასობრივი კორუფცია მექრთამეობის სახით დამარცხებულია, სამაგიეროდ, ყვავის ელიტური კორუფცია. ნეპოტიზმი ყველა ფეხის ნაბიჯზეა, თუმცა, მსოფლიო ბანკი ამის შესახებ არაფერს ამბობს. ის მხოლოდ წარმატებებზე საუბრობს. სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, როგორი არტიკულაციით უნდა მიმართოს დასავლეთის მსმენელს, რა მოსწონთ მათ,

ამიტომ შეუძლია ტყუილის თქმაც. ამბობს, რომ 40 დოლარი ჰქონდა პირველი ხელფასი, მაგრამ არ ამბობს, როგორ მოახერხა ორიოდ წელიწადში მასაჟისტი ქალის ჩამოყვანა, რაშიც მილიონები გადაიხადა. დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი არ გამოიყენებს შანსს, რომ ისტორიაში შევიდეს, როგორც დიდი დემოკრატი-რეფორმატორი და ამისათვის 2013 წავიდეს აქტიური პოლიტიკიდან, რადგან თანამდებობა მას ბევრად უფრო ურჩევნია, ვიდრე სახელი!

– ბარაკ ობამას განცხადება, რომ უნდა მოხდეს ხელისუფლების ფორმალური გადაცემა და უნდა ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები, ნიშნავს თუ არა იმას, რომ საქართველოში ხელსუფლების შეცვლა მართლა მოხდება?

– ვეთანხმები კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ლინკოლნ მიტჩელის მოსაზრებას, რომ 2012 წელს საქართველოში ჩატარდება გაყალბებული არჩევნები. „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში გამარჯვების სხვა შანსი არა აქვს. რამდენად გაუვათ ეს გაყალბება, დამოკიდებულია ქართველ ხალხზე და იმაზე, შეძლებს თუ არა ოპოზიცია ხალხის დარაზმვას დაკარგული ხმების დასაბრუნებლად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2012 წლის შემოდგომაზე ამერიკაშიც არჩევნებია და არავის ეცლება ჩვენთვის. თუ ქართველი საზოგადოება ამას კიდევ ერთხელ გადაყლაპავს, ამერიკის ახალი პრეზიდენტი (ისევ ობამა იქნება თუ სხვა) სააკაშვილს არ მიიღებს უახლოესი 2-3 წელი და ამით დამთავრდება ყველაფერი.

– გამოდის, რომ ივანიშვილსა და მის პოლიტიკურ პარტიაზე ხალხი იმედებს ტყუილად ამყარებს?

– ივანიშვილი სხვა თემაა. მე ვსაუბრობ იმაზე, თუ რამდენად გვარგებს ობამაზე იმედების დამყარება. რაც შეხება ივანიშვილს, სააკაშვილი აქამდე პიარ-ტექნოლოგიებით იგებდა იმიტომ, რომ მას შეეძლო ლამაზად შეფუთული ტყუილის გატანა და გაყიდვა საზღვარგარეთ. ამისთვის იყენებდა ბიუჯეტის ფულს. ახლა მას გამოუჩნდა კონკურენტი ივანიშვილის სახით, რომელმაც ასევე დაიქირავა ამერიკული პიარკომპანიები, რაშიც საკუთარ ფულს იხდის.

ივანიშვილს აქვს საკმაოდ სერიოზული პერსპექტივები. ჯერჯერობით მას ბევრი არაფერი გაუკეთებია პოლიტიკაში, თუმცა, მარტო მისი გამოჩენა აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ისტერიკაში ჩავარდნილიყვნენ. თავად სააკაშვილი უწყობს ხელს ივანიშვილს – ის, რომ მას ჩამოართვეს მოქალაქეობა, ის დარტყმა, რაც მიაყენეს „ქართუ ბანკს“, ის, რომ ართმევენ იპოთეკით დატვირთულ ქონებას, ორგანიზაციებს

აიძულებენ „ქართუ ბანკიდან“ ანგარიშების გატანას, ის, რომ შემოიღეს ახალი საბანკო რეგულაციები და ეროვნული ბანკი ჩამოყალიბდა საბანკო ჟანდარმად, მუშაობს ივანიშვილის სასარგებლოდ. ცხადია, ეს საკმარისი არ იქნება არჩევნების მოსაგებად. ივანიშვილს ეძლევა სერიოზული შანსი, თუ კი გააძლიერებს საქმიანობას პიარის კუთხით და მეორე, თუ სააკაშვილი გააგრძელებს შეცდომების დაშვებას.

მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ სააკაშვილის დაამარცხებს თვითონ საკაშვილი, „ნაციონალურ მოძრაობას“ დაამარცხებს თავად „ნაციონალური მოძრაობა“.

– ბატონო ლადო, ამბობთ, რომ ნაციონალური მოძრაობა არჩევნებს ისევ გააყალბებს. მოუწევს თუ არა ივანიშვილს ქუჩაში გამოსვლა?

– დარწმუნებული ვარ, „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებს გააყალბებს და ქუჩის აქციებს ჩვენ ვერ ავცდებით. ის, რომ დღეს ივანიშვილი უარყოფს ქუჩის აქციების გზას, სწორია, მაგრამ მას დასჭირდება ამ გზის გამოყენება.

ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება. ამერიკაში ვიზიტის დროს სააკაშვილთან ერთად იმყოფებოდა ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი. ეს ადასტურებს სწორედ იმას, რომ სააკაშვილის ჩანაფიქრით, მომავალ პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა იყოს უმრავლესობაში და მისი ოპოზიცია უნდა იყოს „ქრისტიან-დემოკრატები“. ამ “პროდუქტის” მიყიდვა უნდა ახლა სააკაშვილს ამერიკელებისთვის. როგორ შეძლებს ივანიშვილი ამ სიტუაციის შეცვლას, დამოკიდებულია მისი პარტიის აქტიურობასა და სააკაშვილის გარანტირებულ შეცდომებზე.

ესაუბრა

თეა ასათიანი